ხელშეკრულება ადგილობრივი გრანტის შესახებ

Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ხელშეკრულების ნომ.: **83192357**
პროექტის ნომერი: 12.9282.0-004.02
პროექტის სახელწოდება: გლობალური
ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფის
მხარდაჭრა
ქვეყანა:საქართველო
ადგილი: თბილისი

ერთის მხრივ
შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),
ეშბორნი,

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Sitz der Gesellschaft Bonn und Eschborn

Friedrich-Ebert-Allee 40
53113 Bonn, Deutschland
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Deutschland
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Amtsgericht Bonn
Eintragungs-Nr. HRB 18384
Amtsgericht Frankfurt am Main
Eintragungs-Nr. HRB 12394

Vorsitzender des Aufsichtsrats
Staatssekretär Dr. Friedrich Kitschelt

Vorstand
Tanja Gönner (Vorstandssprecherin)
Dr. Christoph Beier (Stellv. Vorstandssprecher)
Dr. Hans-Joachim Preuß
Cornelia Richter

რომელსაც წარმოადგენს

ბატონი მარტინ ჰომოლა, GIZ-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი და ქალბატონი ლიკა ჭანტურია, GIZ-ის საქართველოს ბიუროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შემდგომში „GIZ“

და მეორეს მხრივ

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი
მ.ასათიანის ქ. 9,
0177 თბილისი
საქართველო

რომელსაც წარმოადგენს

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი,

პროფ. დოქტორი ამირან გამყრელიძე

შემდგომში "მიმღები"

შორის

დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობას შორის ნოტების გაცვლას/პროექტის ან/და განხორციელების შესახებ

შეთანხმებას და არეგულირებს GIZ-ის პროეტის სახსრებიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ზემოთ ხსენებული პროექტისთვის გაწეული სამუშაოების ფარგლებში, **18.02.2015 – 31.12 2015-** მდე ვადით ადგილობრივი გრანტის გაცემას:

1. ადგილობრივი გრანტის ოდენობა და მისი დანიშნულება:

1.1 GIZ გასცემს გრანტს **29.400** ლარის (სიტყვიერად: ოცდაცხრაათასოთხასი ლარის და 00 თეთრი) ოდენობით.

1.2 გრანტი გამოყენებულ უნდა იქნეს **ზუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის პროექტისათვის გერმანიის პროგრამის ფარგლებში ბიოუსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის თაობაზე.** (დანართ 3 -ში წარმოდგენილი მიზნებისათვის). მიღებული თანხებიდან მორჩენილი ნაშთი უნდა დაუბრუნდეს GIZ-ს. დამატებით წარმოშობილ ხარჯს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აანაზღაურებს მიმღები.

1.3 1.2 პუნქტში ხსენებული ღონისძიებების განხორციელებისას მიმღები რჩევისათვის მიმართავს GIZ-ის ოფისის ფინანსურ მენეჯერს. მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს მისი რჩევები.

1.4 მიმღებმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისი დავალებით 1.2. პუნქტში დასახელებული ღონისძიებების განხორციელებასთან, მოწოდებებისა და სხვადასხვა სამუშაოების დაფინანსებასთან დაკავშირებული პიროვნებები არ მოითხოვენ, არ მიიღებენ, არ გასცემენ, არ შეპირდებიან რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ფულად გადასახადს ან პრივილეგიას.

2. ადგილობრივი გრანტის გაცემა

2.1 გრანტის მიღებამდე მიმღებმა უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები:

- წარმოადგინოს მიმღების მიერ ხელმოწერილი, იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება;
- წარმოადგინოს თანხის მოთხოვნა, 2.3 პუნქტის შესაბამისად.

giz

2.2 გრანტის გადახდა **29.400,00** ლარის ოდენობით მოხდება დანართ 4-ში მითითებული თანხის მოთხოვნის გრაფიკის მიხედვით. გადახდა მოხდება ხელშეკრულების ხელმოწერისა და ინვოისის წარდგენის საფუძველზე 5 სამუშაო დღის ფარგლებში. ყოველი მიმდევნო გადახდა იწარმოებს წინა ტრანშის სულ ცოტა **80 %** -ის დასაბუთებული ანგარიშგების წარმოდგენის საფუძველზე. ყველა გადახდა იწარმოებს საბანკო გადარიცხვის გზით ლარებში.

2.3 მიმღები ყოველი გადარიცხვის წინ GIZ-ს წარმოუდგენს ორგანიზაციის ბლანკზე, წესისამებრ ხელმოწერილ და ბეჭდით დამოწმებულ თანხის მოთხოვნის წერილს. ასევე მიმღები GIZ-ს წარმოუდგენს გრანტის თანხის მიღებისას შესაბამისად ხელმოწერილ მიღების ქვითარს მასზე დანიშნულების მითითებით. გადარიცხვებისას კი მიმღები წარმოადგენს თანხის მიღების ქვითარს (საბანკო ამონაწერის სახით) ანგარიშგებასთან ერთად.

3. ადგილობრივი გრანტის ანგარიშგება და ანგარიშის წარდგენა

3.1 მიმღებმა ქვემოთ ჩამოთვლილ ხარჯთა დასაბუთებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს დანართი 1-ში მოცემული, შევსებული და ხელმოწერილი ხარჯთაღრიცხვა.

3.2 მიმღებმა უნდა წარმოადგინოს ნათლად ასახული ინფორმაცია გრანტის დახარჯვის შესახებ. საბუთის სახით მან GIZ-ს უნდა წარმოუდგინოს დამოწმებული, მის მიერ შემოწმებული და შესაბამისად ხელმოწერილი ანგარიშ-ფაქტურები, შესრულებული სამუშაოს მოწმობები, ქვითრები და სხვა საბუთები ორიგინალში თანხის მიღების დღიდან **6** კვირის განმავლობაში.

3.3 მე-6 პუნქტში მოცემული უფლებების დაურღვევლად, GIZ-ს შეუძლია მოსთხოვოს მიმღებს მოკლე წერილობითი განმარტება დაფინანსებული ღონისძიებების მსვლელობისა და წარმატების შესახებ.

3.4 ღონისძიებების განხორციელების შემდგომ დარჩენილი თანხა მოთხოვნის გარეშე უნდა დაუბრუნდეს GIZ-ს.

giz

ხელშეკრულება მომზადებულია ორ ეგზემპლარად, ერთ ეგზემპლარს მიიღებს თანხის მიმღები, მეორეს GIZ-ი.

თბილისი, თარიღი 18.02.15 ამირან გამყრელიძე .....

მიმღების ხელმოწერა

GIZ-ის სახელით

თბილისი, თარიღი 18.2.15 მ. ჰომოლა..... ლ. ჯანტურია.....

დანართები:

1. ხარჯთაღრიცხვის ფურცელი
2. თანხის მოთხოვნის ნიმუში
3. პროექტის აღწერა
4. ფულადი სახსრების მიმოქცევის გეგმა
5. ფინანსურ მხარეზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის ნიმუში

giz

4. შესყიდვების განხორციელების პირობები

წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღების მხრიდან არ მოხდება საქონლის ან მომსახურების შესყიდვა.

5. შრომითი ხელშეკრულება

ხელფასების დაფინანსების შემთხვევაში ადგილობრივი კანომდებლობის შესაბამისად მიმღების მიერ უნდა მოხდეს შესაბამის დაქირავებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების ასლი, ყველაზე გვიან, წარმოდგენილი უნდა იქნას პირველ თანხის მოთხოვნასთან ერთად.

6. ადგილობრივი გრანტის დაბრუნება

GIZ-ს აქვს უფლება მოითხოვოს გრანტის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიღებიდან **5** კვირის განმავლობაში მიმღები არ დაასაბუთებს მისი ხარჯვის მიზნობრიობას ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად, ან თუ დარღვეული იქნება ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე სხვა ვალდებულება.

7. პროექტის შემოწმება

მიმღები ვალდებულია მისცეს GIZ-ს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს ჩაიხედოს ფინანსურ დოკუმენტაციაში და იხილოს შესყიდული საგნები ან სამუშაოების შედეგი და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია.

8. მოხსენების წარდგენა

საბოლოო მოხსენება უნდა ჩაბარდეს 31.12.2015-მდე.

9. მოქმედი სამართალი

9.1 ეს შეთანხმება ექვემდებარება მიმღების ადგილსამოფელის მოქმედ სამართალს.

9.2 განსჯადი სასამართლო არის თბილისში.

giz

დანართი 1

ადგილობრივი გრანტები - ხარჯთაღრიცხვა

ქვეყანა: საქართველო **პნ:** 12.9282.0-004.02

ხელშეკრ-N.: 83192357 **თანხა:** 29.400,00 ლარი

მიმღები:

ხანგრძლ:12 თვე **ვალუტა:** ლარი

Nr.	თარიღი	აღწერა	შემოსავალი	გასავალი	სალდო

ხარჯების სიაში მითითებული თანხები და წერილობით საბუთში (დანართში) მითითებული თანხები არსებითად სწორია.

....

ადგილი, თარიღი მიმღების ხელმოწერა

....

ადგილი, თარიღი GIZ-ს ხელშეკრულებებსა და თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

giz

დანართი 2

თანხის მოთხოვნა

თარიღი:

ვისგან:

ორგანიზაცია:

მისამართი:

საიდენტიფ. კოდი:

საკონტაქტო პირი:

ტელ.:

ელ.-ფოსტა:

ვის:

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის
საზოგადოებას (GIZ) შპს
Dag-Hammarskjöld-Weg 1-5
65760 Eschborn

პროექტის ნომერი:
პროექტის დასახელება:
ხელშეკრულების Nr.:
თანხის მოთხოვნის Nr.:
გადახდის სახე:

☐ ავანსი

გადახდა მესამე მხარისთვის: ☐ დიახ ☐ არა

☐ უკვე გაწეული ხარჯის ანაზღაურება

გადახდა მესამე მხარისთვის: ☐ დიახ ☐ არა

თანხა მოთხოვნილია ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად

პერიოდისთვის -დან -მდე

ლარის ოდენობით
(სიტყვიერად: (.....) ლარი

ანგარიშის მფლობელის დასახელება:

ანგარიშის ნომერი/ სახაზინო კოდი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ხელშეკრულების 2.4. მუხლის მიხედვით მოთხოვნილია სპეციალური ანგარიშის გახსნა:

☐ არა ☐ კი

☐ თან ერთვის
☐ უკვე მოწოდებულია

შენიშვნა:

სახელი, გვარი, დაკავებული პოზიცია ბეჭედი

დანართი 3

პროექტის აღწერილობა

გლობალური პარტნიორობის ფარგლებში, რომელიც მიმართულია მასობრივი განადგურების იარაღებისა და ნივთიერებების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობა ახორციელებს გერმანიის პარტნიორობის პროგრამას ბიოლოგიურ უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელიც ამ პერიოდისათვის სამ წელზეა გათვლილი. ამასთან, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს გერმანული მხარის ძალისხმევას და მიზნად ისახავს შესაბამის ქვეყნებში არსებული ინსტიტუტების სტრუქტურების გაძლიერებასა და პროცესების განხორციელებასა და ოპტიმიზაციას ადგილზე ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი უსაფრთხოების რისკების კონტროლის მიზნით. ზემოაღნიშნულის ფარგლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტს (InstMikroBioBw)- IBM საშიში ინფექციური დაავადებებისა და ბიოუსაფრთხოესის სფეროში გერმანულ-ქართული ქსელის შექმნის საქმეში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) ერთად ხორციელდება ღონისძიებები, ტრენინგები ლაბორატორიებში, ვორქშოპები, საველე კვლევები და დაკვირვებები. ცოდნის მდგრადი გადაცემის მიზნით დაგეგმილია დოქტორანტების პროგრამა NCDC-ს მეცნიერებისათვის, რომელიც მოიცავს ღრმა პრაქტიკულ ასპექტებსა და ვიზიტებს ბუნდესვერის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში.

პროექტის მენეჯერის, როენა სუხიაშვილის საქმიანობის აღწერა/ამოცანები:

ადმინისტრაციული ამოცანების განსახორციელებლად NCDC-მ InstMikroBioBw-ს უნდა დაუსახელოს პროექტზე პასუხისმგებელი პირი. ეს პიროვნება, როგორც პროექტის მენეჯერი (PM), პასუხისმგებელი იქნება აუცილებელი ფართის ორგანიზებასა და თარიღების დაგეგმვაზე პრაქტიკული ტრენინგების, ვორქშოპებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. აქ მოაზრება გერმანიის დელეგაციების მისიების გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანი და პროექტში ჩართული პირებისათვის ორგანიზაციის შიდა კომუნიკაციებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პროექტის მენეჯერი უნდა იყოს გერმანიის პროექტისა და NCDC-ს მენეჯმენტის დამაკავშირებელი რგოლი. მან უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და შესაბამისი მოვლენებისა და შედეგების შესახებ. NCDC-ს მენეჯმენტის მხრიდან მოქმედების საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს საკითხის დროული დამუშავება და განხორციელება. გარდა ამისა, პროექტის მენეჯერი პარტნიორ ქვეყანაში პროგრამის უფრო თვალნათელი წარმოდგენისთვის მონაწილეობს პარტნიორ ქვეყანასა და ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში

მოხსენებებითა და პოსტერებით. მის პერსონალურ ამოცანებს ასევე მიეკუთვნება დოქტორანტის მეურვეობა პრაქტიკულ და თეორიულ ჩანაფიქრებთან, შუამდგომლობასთან, თარგმანთან და ორგანიზაციასთან დაკავშირებით ეპიდემიოლოგებთან მუშაობისას („საველე მუშაკები"), ასევე NCDC-ს სხვადასხვა განყოფილებების და საქართველოს სხვა დაწესებულებების შესაფერი პერსონალის შერჩევაში მხარდაჭერა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში. დასასრულს, პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია ყველა იმ საკითხზე, რომელიც მის სფეროს მიეკუთვნება და ზემოთ არ არის ჩამოთვლილი, რათა გერმანულ-ქართული პროექტი უპრობლემოდ განხორციელდეს. შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას წლიური ანგარიში. ყოველთვიური ანაზღაურება 2015 წლისათვის განსაზღვრულია 1.200,00 ლარით (სიტყვიერად: ათასორასი ქართული ლარი). (იხილე სახსრების მიმოქცევის გეგმა დანართი 4).

დოქტორანტის, თამარ ჯაშიაშვილის საქმიანობის აღწერა/ამოცანები:

გერმანულ-ქართული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქართველი მეცნიერის პროფესიული მეურვეობა სამეცნიერო თემების დამუშავებაში. არასავალდებულო, მაგრამ სასურველია ქართველი მეცნიერის მიერ სადოქტორო ნამუშევარზე მუშაობა და დისერტაციის დაცვა ქართულ უნივერსიტეტში, რომელსაც დოქტორანტი თავად ირჩევს. ამისგან დამოუკიდებლად, ამოცანებს მიეკუთვნება დადგენილი თემის „ადრეული ზაფხული-მენინგოენცეფალიტი" (tick borneencephalitisvirus, TBEV) აღება და დამუშავება, ასევე მოლეკულარული დიაგნოსტიკის (qPCR) განვითარება და ვალიდაცია. შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები უჯრედის კულტურისა და ნუკლეინის მჟავის სფეროებში მან დამოუკიდებლად ან პროფესიული მეურვეობის ქვეშ უნდა დაამუშაოს. შემდგომ სტადიაზე გათვალისწინებულია NCDC-ს სხვა პერსონალის სწავლება ტრენინგის სახით, რომელიც მიზნად ისახავს მოგვიანებით პრაქტიკულ და თეორიულ სწავლების ჩატარების უნარს (მულტიპლიკატორის ეფექტი). გარდა ამისა, შედეგები და სწავლების ჩანაფიქრები წარმოდგენილ უნდა იქნას ნაციონალურ და საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებებისა და პოსტერების ფორმით. NCDC-ს საკუთარი თუ გერმანულ-ქართული პროგრამის (ბიოუსაფრთხოება) ვორქშოპების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ორგანიზაციული მხარდაჭერა და პროფესიული მონაწილეობა. გერმანიაში InstMikroBioBw-ში სტუმრობების თუ კვლევითი ვიზიტების დროს წინა პლანზე დგას პრაქტიკული უნარების და ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მეთოდებისა და გერმანიის დადგენილი წესების NCDC-სათვის პირდაპირი ტრანსფერის გაინტენსიურება. ეს ვიზიტები ფასდება, როგორც NCDC-თვის მუშაობის გაგრძელება, ამას უპირატესად NCDC-ც აღიარებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეუწყვეტლად გაიცემა ყოველთვიური ანაზღაურება 2015 წლისათვის 500,00 ლარის (სიტყვიერად: ხუთასი ქართული ლარი) ოდენობით (იხილე ცხრილი / სახსრების მიმოქცევის გეგმა,

დანართი 4). შესრულებული სამუშაო წარმოდგენილ უნდა იქნას მოხსენებების ან ლაბორატორიის ჟურნალის ფორმით.

სამუშაოს აღწერილობა საველე კვლევებისას/ მეთვალყურეობისას:

ლაბორატორიაში ჩასატარებელი დიაგნოსტიკური კვლევებისათვის აუცილებელია პროფესიონალი პერსონალი (საველე ეპიდემიოლოგები, კვალიფიციური „საველე მუშაკები"). ისინი ფლობენ სინჯის აღების სპეციფიურ ცოდნას, რაც დაკავშირებულია ადგილთან და ენასთან. გერმანულ პროგრამაში განსაზღვრული თემების დასამუშავებლად (ლეპტოსპიროზი, ტკიპისმიერი ენცეფალიტი-TBEV და ყვავილი-Orthopox Virus) საჭიროა მეცნიერებმა და ექიმებმა მოიპოვონ სპეციფიური სინჯები, როგორებიცაა: კლინიკური სინჯები (ადამიანური რესურსები), პატარა ძუძუმწოვარა ცხოველები (მღრღნელები), სინჯები დიდი ძუძუმწოვრებიდან (ძროხები) და ექტოპარაზიტები (ტკიპები). ამისათვის საჭიროა, რომ გამოსაკვლევი პათოგენისათვის შესაფერის წელიწადის დროს (პერიოდში) განხორციელდეს საველე კვლევა თუ მეთვალყურეობა. ზემოაღნიშნული პროექტის მენეჯერი პროექტზე პასუხისმგებელ გერმანელ წარმომადგენელთან ერთად ადგენს რაოდენობას, დროსა და ტერიტორიას.

საველე კვლევებისათვის საჭირო ხარჯები ანაზღაურდება დღიურად გამოყოფილი თანხის ოდენობით.ამას უწოდებენ „per diem"-ს და განსაზღვრულია ერთ პერსონაზე: 150 ლარით (სიტყვიერად, ასორმოცდაათი ლარი) კვლევაში მონაწილე საველე ეპიდემიოლოგისათვის და 225 ლარით (სიტყვიერად, ორასოცდახუთი ლარი) კვლევაში მონაწილე საველე მუშაკის/ მძღოლისათვის (ეს პიროვნება შეითავსებს მძღოლისა და საველე მუშაკის ფუნქციებს). „per diem"-ის თანხის ანგარშგება მოხდება NCDC-ისა და მონაწილე პირის მიერ დადასტურებული ტაბელის („time sheet")- ის საფუზველზე, რაც კონკრეტული პიროვნების საველე კვლევაში მონაწილეობას ადასტურებს. თუ გერმანულ-ქართული პროექტის ფარგლებში საველე ეპიდემიოლოგების სრული მომსახურება არ გახდა საჭირო, მაშინ მხოლოდ რეალურად ნამუშევარი დღეების დაანგარიშება მოხდება.

giz

მასალებისა და სინჯების დაგზავნა/ მიღების მხარდაჭერის აღწერა:

პროექტის უპრობლემო განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროების შემთხვევაში გათვლისწინებულია IMB-ის მხრიდან NCDC-ს სახარჯო მასალებითა და ლაბორატორიის სპეციალური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. შემოტანა/გატანისას ლოგისტიკური მხარდაჭერა ხორციელდება GIZ-ის თბილისის ბიუროს მეშვეობით. ამრიგად, წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს NCDC-სადმი გამოგზავნილი ლაბორატორიული მასალების მიღების საფუძველს.

giz

ფულადი სახსრების მიმოქცევის გეგმა დანართი 4

შესრულებული სამუშაო პროექტის წელი 2015			მიმდინარეობა:	01.01.2015 - 31.12.2015	
	სახსრის ტიპი	გადახდის ვადა	თანხა (ლარში)	მიმდინარეობ-ის პერიოდი წელიწადში	წლიური თანხა (ლარში)
ადგილობრივი გრანტები (პერსონალი)					
პროექტის მენეჯერი სუხიაშვილი	ხელფასზე დანამატი		1.200,00	12 თვე	14.400,00
დოქტორანტი ჯაშიაშვილი	სტიპენდია		500,00	12 თვე	6.000,00
საველე სამუშაოები					
პერსონალის უზრუნველყოფა მითითებულ დღეების რაოდენობაზე:		01.03.-01.06.2015			
1.საველე ეპიდემიოლოგი			150	24 დღე	3.600,00
2.საველე მუშაკი/ მძღოლი			225	24 დღე	5.400,00
ჯამი					**29.400,00**

პროექტით გათვალისწინებული დანამატის და სტიპენდიის ანაზღაურება მოიცავს 01.01.2015-31.12.2015 პერიოდს.

თანხის მოთხოვნის გრაფიკი:

პროექტში მონაწილე პირთა ანაზღაურება

მარტი 5100 ლარამდე
ივნისი 5100 ლარამდე
სექტემბერი 5100 ლარამდე
ოქტომბერი 1700
ნოემბერი 1700
დეკემბერი 1700 ლარამდე

საველე სამუშაობისთვის ავანსის სახით სავარაუდოდ
04.2015-06.2015 სულ 9000 ლარის ოდენობით

giz

დანართი 5

ადგილობრივი გრანტები - ფინანსურ ნაწილზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის ნიმუში

ქვეყანა: საქართველო **პნ:**

პროექტის სახელწოდება :

ხელშეკრულების N.: **თანხა:** **ლარი**

მიმღები:

ხანგრძლივობა: .... თვე

ხელშეკრულების ხელმომწერი, პასუხისმგებელი პირი ხელშეკრულების ფარგლებში გასცემს უფლებას პირზე

ბატონი/ქალბატონი (გვარი, სახელი) .....

მასზედ, რომ ზემოხსენებულმა პირმა დაამუშაოს და ხელმოწერით დაადასტუროს ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ნაწილი და ფაქსიმილიით დაადასტუროს ქვითრების ავთენტურობა.

პასუხისმგებელი პირის გვარი, სახელი	**პასუხისმგებელი პირის ფაქსიმილია**

.....
ადგილი, თარიღი

.....
მიმღების ხელმოწერა

.....
ადგილი, თარიღი

.....
GIZ-ს ხელშეკრულებებსა და თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა